ხიხო ‘ხაალი’შეილი
ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ახალი მონაცემები რეპრესირებული ქართველი მხატვრების ბიოგრაფიებისა და შემოქმედების შესახებ

2007 წელს შესრულდება 70 წელი ტრაგიკული 1937-ის, რომელიც რეპრესიების, არაადამიანურ ქმედებათა მთელი სპექტრის, განსხვავებული აზრის, თავისუფალი ხელოვნების ჩამხშობი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის კარგად აპრობირებული სისტემის სიმბოლოდ იქცა.

საბჭოთა რეჟიმის არსებობის ყველა ეტაპზე რეპრესიული მანქანა სხვადასხვა ფორმებითა და ძალით ზემოქმედებს საზოგადოების ყველა ფენაზე. ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანწილად იმოქმედა მთლიანად საბჭოთა, კერძოდ კი ქართული ხელოვნების თუ ქართული მხატვრობის განვითარებაზე, კონკრეტულ შემოქმედთა ბედზე.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რეპრესირებულ მხატვართა შემოქმედებისადმი მიძღვნილი ერთერთი პირველი გამოცემის, გამოფენა "Искусство и быт ГУЛАГА"ს კატალოგის შესავალში მ.ტიხონოვა სახვითი ხელოვნების სფეროში რეპრესიების ისტორიის შესახებ წერს: "მილიონობით ჩვენს თანამემამულეთა შორის, რომლებიც სსრკ-ში განხორციელებული საყოველთაო გენოციდის მსხვერპლნი გახდნენ, იყვნენ სახვითი ხელოვნების ოსტატებიც, უკვე ცნობილები და უცნობები, აღიარებულები და პირველკურსელები ან დიპლომანტები სამხატვრო სასწავლებლების სტუდენტური მერხიდან. ვინ იცის რამდენი არიან ისინი, "პოლიგონებ'ზე" და ლუბიანკის ჯურღმულებში დახვრეტილები, ვინც ვერ აიტანა ეტაპები, საბადოები, კარცერები, ვინც დაიღუპა სურავანდისგან და პელაგრისგან, ან უფრო მოგვიანებით და მაინც უდროოდ, ფსიქიკური და ფიზიკური ტრავმებისგან."[1]

ისევე როგორც ლიტერატურის, თეატრის, კინოს, მუსიკის მრავალ წარმომადგენელთა მიმართ, სხვადასხვა სახის სადამსჯელო ფორმები ქართველ მხატვართა ფიზიკური და სულიერი განადგურებისათვის იქნა გამოყენებული. XX საუკუნის 30-იან წლებში აბსურდული ბრალდებებით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს გამოჩენილ მხატვრებს და საზოგადო მოღვაწეებს დიმიტრი შეყარდნაძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს, პეტრე ოცხელს, 1927-30-იან წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორს ალექსანდრე დუდუჩავას. მათი ბედი გაიზიარეს ქართული ხელოვნებისთვის თავდადებულმა ადამიანმა, ღვაწლმოსილმა მხატვარმა და არქიტექტორმა, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების პირველმა ილუსტრატორმა, პროფესორმა პენრიკ პრინეესკიმ, მოხუცმა გერმანელმა მხატვარმა რიხარდ კარლ ზომერმა. შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში საზოგადოებისგან მოკვეთილები, ფიზიკურად განადგურებულ იქნენ ენერგიული, მიზანსწრაფული ადამიანები, ვისაც უდიდესი წვლილი მიუძღოდათ ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში, სამუზეუმო საქმის, უმაღლესი სამხატვრო განათლების ორგანიზებაში, მხატვართა პროფესიული საზოგადოებრივი გაერთიანებების ჩამოყალიბებაში. ამ ადამიანთა ჩამოშორებით ქართული მხატვრობის წინსვლას უდიდესი, თითქმის აუნაზღაურებელი დარტყმა მიაყენეს. საქართველოს სამხატვრო ცხოვრებაში შეიქმნა ვაკუუმი, რომლის შევსება ათეული წლების მანძილზეც შეუძლებელი გახდა.

[1] Творчество и быт Гулага. Каталог собрания общества «Мемориал», М., 1998.

ზემოთჩამოთვლილი და სხვა, ამ პერიოდში რეპრესირებული მხატვრების სახელი ათეული წლების განმავლობაში ტაბუდადებული იყო. რეჟიმი ყოველნაირად ცდილობდა მათი არსებობის კვალის წაშლას. აკრძალული იყო მათი საჯარო ხსენება,მათ შესახებ წერა. ათეული წლების მანძილზე შეუძლებელი იყო ქართული სახეითი ხელოვნების ისტორიის სრული სურათის წარმოჩენა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ქართველი მწერლების, თეატრის მოღვაწეების, მეცნიერების, სამხედროების, სხვა წარჩინებული თუ უბრალო მოქალაქეების მსგავსად რეპრესირებულ მხატვართა სახელები დაუბრუნდა ქართულ კულტურას. ამასთან აღსანიშნავია, რომ მხოლოდ XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში, მხატვართა ნაწილის რეაბილიტაციიდან განვლილი თითქმის ათი წლის შემდგომ შესაძლებელი გახდა მათდამი მიძღვნილი პირველი სტატიების გამოქვეყნება.[3] სამეცნიერო ნაშრომების, ალბომების, მემუარების მეშვეობით აღდგა მათი არსებობის ფაქტი, გარკვეულწილად დაზუსტდა ბიოგრაფიული და შემოქმედებითი მონაცემები.

აღსანიშნავია, საქართველოში, სხვა რესპუბლიკებში გამოქვეყნებული ენციკლოპედიების,საცნობარო ლიტერატურის მსგავსად,ქართული მხატვრობისადმი, კონკრეტულ ოსტატებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში, მას შემდეგადაც კი, რაც ოფიციოზის მიერ აღიარებულ იქნა განხორციელებული რეპრესიები, საკმაო ხანს მაინც ერიდებოდნენ სიტყვა "რეპრესირებულის" ხმარებას. მიღებული არ იყო რეპრესიების,დახვრეტების თუ გადასახლების ფაქტების მოხსენიება. მეცნიერები იძულებულები იყვნენ მიემართათ მინიშნებებისათვის. მაგალითად გამოდგება ფრაგმენტი დ.გამეზარდაშვილის ეახუშტი კოტეტიშვილისადმი მიძღვნილი წიგნიდან: "ეს იყო მისი უკანასკნელი ლექცია. ამის შემდეგ ჩვენ ის აღარ გვნახავს. 44 წლის ასაკში <u>შემოსაღამდა</u>. საბოლოოდ მოწყდა საყვარელ ოჯახს და საქმეს."[4]

ი.აბესაძე და ქ.ბაგრატიშვილიც,რომელთა დიდი მცდელობით ბევრი რამ გაკეთდა დიმიტრი შევარდნაძის სახელის ქართულ ხელოვნებაში ხელახლა დასამკვიდრებლად, გაურბიან ამ სიტყვას. ისინი ახსენებენ მისი დაპატიმრების, "ხალხის მტრად" მონათვლის, რეაბილიტაციის ფაქტებს, მაგრამ იძულებულები არიან პირდაპირ არ დაასახელონ მხატვრის დახვრეტის აქტი და წერენ,რომ "ის ემსხვერპლა მშობლიური კულტურის დიდ სიყვარულს"[5]. 2001 წელს "ნეოსტუდიის" მიერ გამოცემულ დ.შევარდნაძის ალბომშიც არ არის ნახსენები სიტყვა „დახვრეტა". ვითარებას რამდენადმე ნათელს ფენს ბოლო აბზაცი: "ალბათ სწორედ ამიტომ უსაფლავოდ დარჩენილი მხატვრის შემორიალად მის სულიერ მეგობარს,ქეთევან მაღალაშვილს, თბილისის ერთერთი ღირსშესანიშნაობა,მდინარე მტკვარს გადმომყურე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მეტეხის ტაძარი მიაჩნდა."[6] ეს ფრაზა ესპოპეს ენაში, სხვადასხვა მინიშნებების გაგებაში დახელოვნებული საბჭოთა ადამიანებისთვის საკმაოდ გასაგებად ხდიდა საქმის არსს. ასევეა ლ.ლომთათიძის 1975 წელს გამოცემულ ალბომში,სადაც პეტრე ოცხელის ბიოგრაფია მოულოდნელად წყდება 1936-37 წლებში მის მიერ მოსკოვში შესრულებული ნამუშევრების ჩამონათვალით. ერთერთ ბოლო ფრაზაში ნათქვამია: "მხოლოდ 9 სეზონის განმავლობაში ანათებდა რამპის შუქი პეტრე ოცხელის, მხატვარმოაზროვნის და თეატრალური მოღვაწის ქმნილებებს"[7]. ავტორი მხოლოდ ამ მინიშნებით იფარგლება. ასევე ხდებოდა

---

[3] შ.ამირანაშვილი, ხელოვნის ღვაწლი.ნეული კულტურის მშენებლები. "კომუნისტი".15.06.1967.

[4] დ.გამეზარდაშვილი, ეახტანგ კოტეტიშვილი, თბ., 1969. გვ. 213.

[5] ი.აბესაძე, ქ.ბაგრატიშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, თბ., 1998, გვ. 5.

[6] XX საუკუნის ოსტატები, დიმიტრი შევარდნაძე, თბ., 2001, გვ. 20.

[7] ლ. ლომთათიძე, პეტრე ოცხელი. თბ., 1973 გვ. 10.

ცოცხლად დარჩენილ რეპრესირებულების ბიოგრაფიებთან დაკავშირებით. ხელისუფლებისთვის არასასურველი ფაქტების დამალვა ცელიდა და გაუგებარს ხდიდა მხატვართა ცხოვრების გზას. ე.ტიხონოვა გულაგის ხელოვნებისადმი მიძღვნილი უკვე ნახსენები კატალოგის შესავალში წერს ამ მოვლენის შესახებ: "მთელი ათწლეულები ქმნიდნენ გაუგებარ ჩავარდნებს ბიოგრაფიებში, ვითომცდა სრული შემოქმედებითი პასიურობის პერიოდებს, რომლის შემდეგადაც მხატვრები ისე გამოჩნდებოდნენ შემოქმედებით ასპარეზზე, ვითომც არაფერიაო. და მხოლოდ ახლობლებმა იცოდნენ, სინამდვილეში რაში იყო საქმე."[7] ამასთან, გარკვეული ევფემიზმი, მხატვრის თუ სხვა პერსონის ბიოგრაფიაში არსებული ლაკუნები – მხოლოდ გარდაცვალების წლის მიწერა (მით უმეტეს თუ ეს წელი 1937 ან 38 წელი იყო), თვის და ადგილის მითითების გარეშე, საზოგადოებისთვის ნათელს ხდიდა ადამიანის ბედს. საქართველოში გამოჩენილ მწერალთა,მხატვართა,თეატრის მოღვაწეთა რეპრესირების ფაქტების დამალვა შეუძლებელი იყო, თუმცა ყველაზე ცნობილმა, ხელისუფლებასთან ახლოს მყოფმა მხატვრებმაც ზოგ შემთხვევაში ბოლომდე არ იცოდნენ სიმართლე. ბ.ნიკოლაძეს მემუარების წიგნში მოყვანილ მეუღლის, მოქანდაკის ი.ნიკოლაძის სიტყვები ე.კოტეტიშვილთან დაკავშირებით, სადაც ახსენებს გადასახლებას.[8] რეპრესირებულთა ბიოგრაფიის ზოგიერთი ფაქტის შესახებ ინფორმაცია გასაგები მიზეზების გამო გარკვეულ დრომდე მკვლევარებისათვისაც ძნელად მისაწვდომი იყო.

კიდევ უფრო მწირი იყო მასალები სხვა, შედარებით ნაკლებად ცნობილი მხატვრების რეპრესირების შესახებ. ამ გარემოებამ ნათელყო კვლევის გაგრძელების არსებული თეორი ლაკუნების შევსების აუცილებლობა.

ხელოვნების განვითარების ცენტრ "არტ არსის" პროექტზე – "ქართული მხატვრობა ტოტალიტარული რეჟიმის დროს," ნელი მუშაობის დროს, აგრეთვე 2004 წელს ჟურნალ "ომეგას" გალერეაში რეპრესირებული მხატვრების გამოფენის "ჩაკლული სულის"[9] მომზადებისას მოძიებული იქნა ახალი სახელები,გამოვლენილი და დაზუსტებული ზოგიერთი მონაცემი, რომლებიც ეხება რეპრესირებული მხატვრების ბიოგრაფიებსა და შემოქმედებას.

უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მათი სიკვდილის თარიღების დაზუსტებას. უკანასკნელ წლებში,საერთაშორისო საზოგადოება "მემორიალის" მიერ მოპოვებული ე.წ "სტალინურ ნუსხებში" საქართველოს სსრს შესახებ არსებული,აგრეთვე ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე სხვადასხვა რეგიონებში მდებარე გულაგის დაწესებულებების მასალების გამოქვეყნების შემდგომ, შესაძლებელი გახდა მრავალი ადამიანის, მათ შორის მხატვრების ტრაგიკული დაღუპვის ზუსტი თარიღების დადგენა.

1937 წელს ზემოხსენებულ დაპატიმრებულ მოღვაწეთა უმრავლესობა დახვრეტილ იქნა 1937-38 წლებში. ნუსხების მიხედვით 10 ივნისს დაპატიმრებული დიმიტრი შევარდნაძე დახვრიტეს 1937 წლის 10 აგვისტოს; პენრიკ პრინცესკი 1938 წლის 14 თებერვალს;[10] ორი – ალექსანდრე დუდუნავა და ვახტანგ კოტეტიშვილი დახვრეტილია ერთსადაიმავე დღეს – 1937 წლის 22 ნოემბერს. დახვრეტილთა ამ სიაში არ არის პეტრე ოცხელის გვარი. ენციკლოპედიებში მითითებულია მხოლოდ სიკვდილის წელი – 1937. ზუსტი თარიღი ცნობილი გახდა თეატრმცოდნე ვ.კიკნაძის 1991 წელს გამოცემული რეჟისორ სახმეტელის და შოთა რუსთაველის სახ. თეატრის

---

[7] Творчество и быт Гулага. Каталог собрания общества «Мемориал», М., 1998.

[8] "ეჰ,რა უბრალოდ დაიღუპა ეს ნიჭიერი კაცი (ის 1937 წელს გადაასახლეს). იტყოდა ამოოხვრით იაკობი". ბ.ნიკოლაძე,მოქანდაკის მოგონებებები,თბ.,1964. გვ. 94.

[9] ჩაკლული სული.რეპრესირებული მხატვრების არშემდგარი გამოფენა,ბუკლეტი,თბ.,2004.

[10] სხვადასხვა ენციკლოპედიაში მითითებულია ზოგადად – 1937 წელი.

რეპრესირებული მსახიობებისადმი მიძღვნილი წიგნიდან "წამებული რაინდები."[11] საქართველოს უშიშროების კომიტეტში დაცული დოკუმენტების – დაკითხვის ოქმების და განაჩენების საფუძველზე იგი პირველად ასახელებს მხატვრის დახვრეტის თარიღს – 1937 წლის 2 დეკემბერს. ამაევ წყაროს ცნობით, პეტრე ოცხელი დაპატიმრებულ იქნა მოსკოვში მცხოვრებ ორ სხვა ქართველ თეატრალურ მოღვაწესთან – გ. ყორდანიასთან და ე. აბაშიძესთან ერთად, იქ მოღვაწე, თეატრალური მაღალსინოსნის ს. ამაღლობელის საქმესთან დაკავშირებით. სამივე თბილისში იქნა გასამართლებული ანტისაბჭოთა ორგანიზაციის "საქართველოს ნაციონალური ცენტრის" წევრობის ბრალდებით. ე.კიკნაძის ცნობით,ოცხელის საქმეს ეწერა – "თაეი არ სცნო დამნაშაეედ". და განაჩენი – დახვრეტა.[12] ეს ინფორმაცია აქარწყლებს საზოგადოებაში კარგა ხანს გაერცელებულ თვალსაზრისს, რომ იგი არ დაუხვრეტიათ, არამედ გადაასახლეს. შესაძლებელია, ეს აზრი ეყრდნობოდა 1941 წელს ოცხელის მამის სტალინისადმი გაგზავნილი მიმართვის პასუხს, სადაც მშობლებს გარკვეულწილად აიმედებდნენ, რომ მათი შვილი დახვრეტილი კი არა, გადასახლებული იყო.

ასევე გაურკვეველი იყო საქართველოში მცხოვრები გერმანელი მხატვრის რიხარდ კარლ ზომერის (სურ. 1) ბედი. დ. შპრინგპორნი, რომელიც თაეის წიგნში დიდ ადგილს უთმობს რეპრესირებული თანამემამულეების ბედს,წერს,რომ ზომერი ციმბირში იქნა გადასახლებული და მისი შემდგომი ბედი უცნობია[13]. არ არის დასახელებული მისი გარდაცვალების თარიღი ი.ქურდაძის სტატიაში[14] და უახლეს ქართულ ენციკლოპედიაში "თბილისი."[15] მასში გამოქვეყნებულ ბიოგრაფიაში ასევე მითითებულია, რომ გარდაცვალების თარიღი უცნობია. არ ნახს ზომერის გვარი საქართველოს სსრ-ში დახვრეტილთა ე.წ "სტალინურ ნუსხებშიც." ჩვენ შეეძელით ზომერების ოჯახის ახლობლების შთამომაველის, ფარნა ჭელიძის მეშვეობით გაეცნობოდით მასთან დაცულ საქართველოს უშიშროების არქივიდან გაცემულ ცნობას. მოგვეცა ეს დოკუმენტი სრულად, როგორც ამგვარი გადაწყვეტილებების ნიმუში. იგი იტყობინება, რომ "საქართველოს შინსახკომის "სამეულის" 1937 წლის 31 ნოემბრის დადგენილებით,მოქალაქე ზომერს რიხარდ კარლის ძეს,დაბადებულს 1866 წელს ესტონეთში,სისხლის სამართლის კოდექსის 5810 (აგიტაცია პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას),5811 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისთვის) მუხლების საფუძველზე მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა (დახვრეტა). განაჩენი სისრულეში მოყვანილია 1938 წლის 2 იანვარს." 1995 წელს გაცემულ ცნობაში მითითებულია,რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად, იგი რეაბილიტირებულია. ფ.ჭელიძისეე ცნობით, ზომერის მეუღლე, მარტა იეანეს ასული ზომერი, მუსიკის მასწავლებელი ცხოვრობდა თბილისში, ყოფ. კლარა ცეტკინის ქუჩაზე და აქვე გარდაიცვალა. მათი ერთადერთი შვილი 20-იანი წლებიდანვე ამერიკაში ცხოვრობდა.

აღსანიშნავია, რომ რიხარდ ზომერი რეპრესირებულ იქნა 1937 წელს, გერმანიასთან ომის და გერმანელთა დეპორტაციას დაწყებამდე გაცილებით ადრე.

---

[11] ე.კიკნაძე. წამებული რაინდები. თეატრი – სუეის არქივში. თბ., 1991, გვ.4.

[12] ე.კიკნაძის ცნობით, ეს საბუთები შესაძლებელია დაიწეა 1991-92 წწ დეკემბერ-იანვრის მოელენების დროს.

[13] დ.შპრინგპორნი, გერმანელები საქართველოში. 2004, გვ. 44.

[14] I.Kurdadze,T.Tschkonia, Aus Rembrandts Gemälde herausgestiegen".Richard Karl Sommer.Kaukasische Post, 2002, N37

[15] თბილისი.ენციკლოპედია, თბ., 2002, გვ. 484.

თუმცა "შპიონომანია" ხომ უკვე საკმაოდ მიმიღებული იყო. ძალიან ბევრი როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მოქალაქე სწორედ ამ სახის დანაშაულის ბრალდებით იყო გასამართლებული. მათ შორისაა მხატვარ ო.შმერლინგის ეაუი, ჟურნალისტი ელგარ შმერლინგი (1906-1943). იგი 1941 წლის 4 აგვისტოს როგორც "ხალხის მტერი" დააპატიმრეს, გაასამართლეს და 10 წელი მიუსაჯეს. დაიღუპა ის შუა აზიაში,ტაშკენტის მახლობლად შიმშილისგან. დაპატიმრების მიზეზი საბორტულ შეჯიბრების დროს გადაღებულ ფოტოზე კადრში შემთხვევით მოხვედრილი სამხედრო დაწესებულების შენობა გახდა.[14]

მხატვართა, ისევე როგორც სხვა საბჭოთა მოქალაქეების, რეპრესირების მიზეზი მრავალგვარი იყო. დაკვრისთვის საკმარისი იყო "არაკორექტული" გამონათქვამი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, არასასურველი პარტიული წარსული, საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელშიც პარტმუშაკებს შეეძლოთ "ნაციონალისტური" ელემენტების აღმოჩენა,არასაკმარისი აქტივობა ბოლშევიკური პარტიის ხაზის გატარებისას, ხელისუფლების მიმართ ლოიალობის დამტკიცების არასაკმარისი მცდელობა, პარტიის კურსიდან "გადახვევის" შემჩნევა "უხილველი" მოქალაქეების მიერ, "არასწორი" ეროვნება, საზღვარგარეთ მყოფი ნათესავები. შემოქმედებით მოღვაწეთა "არასაკმარისი" მონდომება საბჭოთა რეჟიმის პროპაგანდაში და, რაც მთავარია, განსხვავებული, დამოუკიდებელი აზრის, მიმართულების ფიქსირება. ითხოვებოდა სრულიად აბსურდული ბრალდებებიც, რომელთა გამოკვლევას არავინ აპირებდა. საბაბი სხვადასხვა იყო, შედეგი კი ერთნაირი – დახვრეტა,ქონების კონფისკაცია,ოჯახის სხვა წევრების რეპრესირება, მრავალწლიანი გადასახლება ბანაკებში, დეპორტაცია, ნართვა მონური შრომის პროცესში – საბოლოოდ კი საყოველთაო შიშის ატმოსფეროს შექმნა,თავისუფალი აზრის ნახშობა. ქვეყანაში გამეფებულმა ტოტალური დასმენების პოლიტიკის წახალისებამ ‘ხოგიერთში გააღვივა ქვენა გრძნობები, რის შედეგადაც ადამიანები დილეგებში ხვდებოდნენ მათი ქონების, ბინის ხელში ჩაგდების მსურველთა წარმატებული კარიერის მოშურნეთა და სხვათა დასმენების შედეგად.

პენრიკ პრინცესკის ბედი შესაძლებელია მისმა უცხოელთთან ურთიერთობამ განაპირობა. მანამდე კი, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჰპრინცესკი,რომელიც სამხატვრო აკადემიის ერთერთი დამაარსებელი და პროფესორი იყო, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მის მოწაფეთა შორის იყვნენ ცნობილი მხატვრები და არქიტექტორები. მრავალი აღსრდილი მადლიერებით იხსენებდა მის გაკვეთილებს. მხატვარი აქტიურად მონაწილეობდა საგამოფენო ცხოვრებაშიც, მრავალი სამხატვრო საბჭოს, კომისიის მუშაობაში. დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე, 1937 წელს, მისი ნამუშევრები წარდგენილი იყო გამოფენაზე "ორდენოსანი საქართველოს პეიზაჟი". იმავე წელს, ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ დიდ საიუბილეო გამოფენაზე პენრიკ პრინცესკის, ილიას პირველი ილუსტრატორის ნამუშევრები უკვე აღარ ნახდა. მხატვართა წრეში კარგა ხანია გაერცელებული იყო აზრი, რომ იგი დამსმენთა მცდელობით იქნა დაპატიმრებული. პრიეატულ საუბრებში ასახელებენ კონკრეტულ სახელებსაც, ვინც შემდგომ მიითვისა მისი ქონება და ინტელექტუალური შრომის ნაყოფი (საგნების სწავლების მეთოდიკა, სამეცნიერო გამოკვლევები და ა.შ). სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი მისივე კოლეგა და სტუდენტი იყო. აკადემიის კედლებში ათეული წლის განმავლობაში ერთმანეთს გადაეცემოდა ჰ.პრინცესკის დაპატიმრებასთან დაკავშირებული ვარაუდები. ჩვენთან საუბარში ფერმწერმა დ.ხახუტაშვილმა გაიხსენა ცნობილი მხატვრის, პროფესორ ვახტანგ ჯაფარიძის

[14] დ.შპრინგლორნი, გერმანელები საქართველოში. 2004, გვ.169.

მოსაახრობი – როგორ გამოიყურებოდა დაპატიმრების მეორე დღეს დარბეული სახელოსნო (პრინცესკი აკადემიის ეზოში ცხოვრობდა), სადაც ერთმანეთში იყო არეული ნახატები, სამხატვრო მასალები, ავეჯი, საოჯახო ნივთები, უძვირფასესი წიგნები, თავად პრინცესკის დახეული ნამუშევრები. იქვე ტრიალებდნენ ისინი, ვისაც სასოგადოებრივი აზრი შემდგომ დააბრალებს პრინცესკის დასმენას. უმრავლესობის აზრით, ეს ანგარებითი მიზნით იყო ორგანიზებული. სახელდება სამი კონკრეტული მხატვრის გვარი, რომელთაც გარდა მატერიალური მოგებისა და კარიერისტული წარმატებისა, მისი ნაშრომების მითვისებაც მოახერხეს. ამბობდნენ, რომ ერთერთმა მათგანმა თავისი სახელით გამოიქეყნა პრინცესკის ნაშრომი. ამ სამეულს სხვა უკეთურ საქმეებსაც აბრალებდნენ.[17]

აქამდე სხვადასხვა გამოცემებში პრინცესკის გარდაცვალების თარიღად 1937 წელია მითითებული. ჩვენი ახალი მონაცემებით, "ნუსხების" მიხედვით, იგი 1938 წლის 14 თებერვალს დახვრიტეს.

კრიტიკოსი ალექსანდრე დუდუნაკა 1920-30-იანი წლების საქართველოს სამხატვრო ცხოვრების ერთერთი აქტიური მონაწილე და ცნობილი საბჭოთა ფუნქციონერი იყო. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა მოიცავდა სახვით და თეატრალურ ხელოვნებას, ლიტერატურას. სხვადასხვა დროს ის ხელმძღვანელობდა საქართველოს მხატვართა კავშირს (1933 წელს გახდა მისი პირველი თავმჯდომარე), თბილისის სამხატვრო აკადემიას, სხვა დაწესებულებებს; აქვეყნებდა წერილებს ხელოვნების სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. ჯერ ახლახან მოსკოვში "გელოსის" აუქციონზე წარდგენილი იყო დღეს იშვიათობად ქცეული მისი წიგნი "ქართული საბჭოთა ფერწერა".

შეიძლება თქვას, რომ ალექსანდრე დუდუნაკა გახდა მსხვერპლი სისტემისა, რომლის აგებაში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, თავადაც მონაწილეობდა. მისი პუბლიცისტური წერილების ზოგჯერ აგრესიული ტონი და შინაარსი ამკვიდრებდა სასოგადოებრივი აზრის ამგვარსაც ხასიათს, რაც შემდგომში გარკვეულწილად საფუძველად დაედო მრავალ ნეგატიურ მოელენას.

სემოსახსენები ცნობილი მოღვაწეების გარდა, დასმენის მსხვერპლი გახდა ბევრი ახალგაზრდა, დიდი შემოქმედებითი პოტენციის მქონე მხატვარიც. ერთერთი მათგანი იყო ივანე (ვანო) პატარიძე (1903-1956), ნიჭიერი მოქანდაკე და არქიტექტორი, აკადემიის კურსდამთავრებულია პირველი თაობის წარმომადგენელი. ი.პატარიძის შესახებ არსებული მონაცემები ძალზე მწირია. მცირეოდენი ინფორმაცია ნართულია ე.ბერიძის და ნ.ეზერსკაიას წიგნში[18] ე.ბერიძის მოგონებებში[19], ა.წერეთელის[20] და ლ.შანიძის[21] ქართული ქანდაკებისადმი მიძღვნილ გამოცემებში. მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევა ჯერჯერობით არ არსებობს. ჩვენ შევეცადეთ თავი მოგვეყარა გაფანტული ფაქტებისათვის, დაგვემატებინა ახლად მოძიებული მასალები და შეგვექმნა ქართული ქანდაკების საგულისხმო წარმომადგენლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვეული სურათი, რაც დაეხმარება ამ საინტერესო, უსამართლოდ რეპრესირებული ადამიანის შემოქმედების შემდგომ შესწავლას.

ივანე პატარიძე დაიბადა ქუთაისში, 1903 წელს, იქვე მიიღო საშუალო განათლება და მხატვრების გრიგოლ მესხის და ვასილ კროტკოვის ინიციატივით ქუთაისის რეალურ სასწავლებელში დაარსებულ სამხატვრო კურსებზეც სწავლობდა. მოწაფეობის დროს მან სხვებთან ერთად ხელი მოაწერა ქუთაისელ

---

[17] ეს სახელები ჩემთვისაც ცნობილია, მაგრამ რადგანაც ეს თვალსაზრისი არ არის განმტკიცებული დოკუმენტურად, მათი დასახელება შეუძლებელია. ნ.ზ.

[18] Беридзе В.,Езерская Н., Искусство советской Грузии, М., 1975.

[19] ისინი ბატონმა ვახტანგმა ყარყარაშვილმა გაგვიზიარა. ნ.ზ.

[20] ა.წერეთელი, ქართული საბჭოთა პორტრეტული ქანდაკება, თბ., 1959.

[21] ლ.შანიძე, ქართული საბჭოთა ქანდაკება, თბ., 1975.

"ხატეის მოყვარულთა საზოგადოების" წევრთა მიმართვას "ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისადმი", რომელშიც შემოქმედი ახალგაზრდები გამოთქვამდნენ მხურვალე სურვილს ჩართულიყვნენ ქართული ხელოვნების განვითარების პროცესში.[22] შემდგომ მან სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე,იაკობ ნიკოლაძესთან. მასთან ერთად სწავლობდნენ ნინო წერეთელი, გიორგი სესიაშვილი, რაისა აბრამია-მიქაძე და სხვები. 1928 წელს მან დაამთავრა ქანდაკების, მოგვიანებით კი, 1931 წელს არქიტექტურის (სამხატვრო აკადემიის ლიკვიდაციის შემდეგ ინდუსტრიულსამშენებლო ინსტიტუტში გადანაცვლებული) ფაკულტეტიც. მუშაობდა ქალაქის საბჭოში უფროს არქიტექტორად. მის მიერ თბილისში დაპროექტებულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და საზოგადოებრივი ნაგებობა.

პედაგოგები დიდ იმედებს ამყარებდნენ ახალგაზრდა მოქანდაკეზე. იგი სტუდენტობიდანვე მონაწილეობდა გამოფენებში, სადაც მისი ნამუშევრები მნახველთა და კრიტიკოსთა ყურადღებას იქცევდნენ. ერთერთი პირველი ექსპოზიცია 1925 წლის ნოემბერში განათლების მუშაკთა სახლში გამართული გამოფენა იყო, სადაც ი.ნიკოლაძის, ვ.კოტეტიშვილის, გ.სესიაშვილის, ნ.წერეთლის, რ. მიქაძის ქანდაკებების გვერდით გამოფენილი იყო მისი ნამუშევრებიც. რეცენზენტი ნუგზარ ერისთავი გამოფენის მიმოხილვისას აღნიშნავს: "ი.ნიკოლაძის ნამუშევრებში უკეთესია დაუმთავრებელი ქანდაკება "კოცნა", კარგი არის ვ.კოტეტიშვილის: ყაზბეგის ბიუსტი. და "ავადმყოფი ბავშვი." ავტორი ახასიათებს გ.სესიაშვილსაც, ღნიშნავს მისი ნამუშევრების სიახლოვეს კ.მენიესთან. აუცილებელ რევოლუციურ რიტორიკასთან ერთად სტატიაში საკმაოდ ზუსტი შენიშვნებიცაა გამოთქმული. იგი გამოყოფს ვანო პატარიძის ნამუშევრებსაც: "განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა მოქანდაკე ი.პატარიძე. შესანიშნავია მისი "მუშა" და ვაჟა ფშაველას ბიუსტი. პატარიძეს ემჩნევა უტყუარი ნიჭი და შემოქმედებითი ძალა."[23] მოქანდაკის დასახელებული ნამუშევრები შემდგომ აღარსად ჩანს.

მწირია მონაცემები მოქანდაკის სხვა სკულპტურული ნაწარმოებების (სურ. 7,9) შესახებაც. გაურკვეველია მისი ნამუშევრების უმრავლესობის ბედი. ა.წერეთელი წიგნში მის ავტობიოგრაფიაზე დაყრდნობით წერს მოქანდაკის მიერ შესრულებული პორტრეტების არსებობის შესახებ, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, არ აღნიშნავს, თუ ვის შეიძლება ასახავდენ ისინი. შედარებით დაწვრილებით ახასიათებს იგი ერთ-ერთ ადრეულ ნამუშევარს, მოქანდაკე გიორგი სესიაშვილის პორტრეტს (1922 წ.), რომელიც შემდგომ ინახებოდა მხატვარ შალვა მამალაძის ოჯახში[24]. ახსენებს ა.წერეთელი 1927 წლის გამოფენაზე წარდგენილ ი.ნიკოლაძის პორტრეტსაც. ამ ნაწარმოების არსებობას თავის მოგონებებში ადასტურებს ი.ნიკოლაძის მეუღლე ბრონისლავა ნიკოლაძეც[25]. ოციან წლებში ი.პატარიძემ გამოაქანდაკა აგრეთვე ნატურალური ზომის კომპოზიცია "განთავისუფლებული შრომა",[26] რომელიც მუშათა ცენტრალურ კლუბს შეუძენია. ამავე ხანებში მას შეუსრულებია აგრეთვე შიშველი ბავშვის ფიგურა (ქვა),"ფასკუნჯები" სახელმწიფო მუზეუმის კარიბჭისთვის (ბაზალტი), გაუკეთებია აგრეთვე ქანდაკება "ებრაელი მეწერილმანე" ებრაელთა მუზეუმისთვის და სხვა, ხოლო 1930-იან წლებში – თბილისის საბჭოს დაკვეთით

---

[22] ი.აბესაძე, ქ.ბაგრატიშვილი, დიმიტრი შეევარდნაძე., გვ.78.

[23] ნ.ერისთავი, ქართველი მხატვრების გამოფენა. საქართველოს დროშა, 1924, №7 გვ.16.

[24] გ.სესიაშვილის ახლობელმა,მისი შემოქმედების მკვლევარმა ო.კაიშაურმა ვერაფერი გვითხრა ამ პორტრეტის ბედის შესახებ.

[25] ბ.ნიკოლაძე, დასახ. ნაშრ., 1964, გვ.93. ი. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელის, გურამ ნიკოლაძის ცნობით, პორტრეტის ადგილსამყოფელი უცნობია.

[26] მისი ფოტო მოთავსებული იყო ჟ."დროშაში".1924 №

"ეეფხეები" (ბაზალტი)[27], რომლებიც იდგა გმირთა მოედანზე, ე.წ. ასბინიანი სახლის შენობის წინ, ახლა კი ზოოპარკის შესასვლელშია მოთავსებული. „გრიფონები" და „ეეფხეები" ეანო პატარიძის იმ მცირერიცხოვან ნამუშევართაგანია, რომელნიც აქამდე შედარებით კარგადაა ცნობილი და ჩართული ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ რამდენიმე გამოცემაში.

1937 წელს, ნაყოფიერი შემოქმედებითი აქტიურობის პერიოდში ეანო პატარიძე რეპრესირებულ იქნა. სხვათა აზრითაც და თავად მოქანდაკის თქმითაც, ბრალდება მისი ბინის ხელში ჩასაგდებად შეუთითხნიათ.[28] მან მრავალი წელი დაყო გადასახლებაში, სიცივესა და უკიდურესად მძიმე პირობებში, შეერყა ჯანმრთელობა, რამაც მისი ნაადრევი სიკვდილი გამოიწვია. დაბრუნების შემდეგ მან არცთუ დიდი ხანი იცოცხლა და მხოლოდ რამდენიმე ნამუშევრის, მათ შორის ცნობილი ანიმალისტური ქანდაკებების – ეაკის პარკში მდებარე ეეფხეებისა და რამდენიმე ქანდაკების ესკიზის შექმნა მოასწრო.

მრავალწლიანი გადასახლებიდან დაბრუნებული ეანო პატარიძე შეკედლებული იყო ეაკეში, კაესაძის №4 მდებარე მხატვარ თ.აბაკელიას (მ.იეანიშვილის ცნობით)[29] ან შ.მაყაშვილის სახელოსნოს, როგორც თ. დვალის მოგონებებშია აღნიშნული. მხატვარი მუდმივი სტრესის მდგომარეობაში იმყოფებოდა, აწუხებდა შიშის, ეჭვის გრძნობა, რომ ამ კუთხესაც დაკარგავდა, ეშინოდა ხელახალი რეპრესიებისა. ეს არ იყო მოგონილი ფობიები. საფრთხე რეალური იყო. მის პრობლემას ახალ რეალობასთან შეგუების, ადაპტაციის სირთულეც წარმოადგენდა. თანამედროვეთა მოგონებებით[30], მეტად დაბალი ტანის, შეუხედავი, რამდენადმე სასაცილო გარეგნობის, ცუდად ნაკმელ, ნახევრად მშიერ, ლაპარაკს გადაჩვეულ, მაგრამ საოცრად ამაყ და თავმოყვარე მოქანდაკეს უჭირდა ადამიანებთან ურთიერთობა და მხოლოდ ძალზე ახლობლებთან და ბავშვებთან იხსნებოდა.[31] მცირე რამ არის ცნობილი მისი ხელოვნებისადმი დამოკიდებულების, საყვარელი მოქანდაკეების შესახებ. რაიმე ნანაწერი ამის შესახებ არ შემორჩენილა, თუმცა ზეპირი მოგონებებიდან და თავად მისი ნამუშევრებიდან ჩანს განსაკუთრებული სიყვარული ანტიკური ქანდაკებისადმი, აღორძინების ხანის ოსტატებისადმი.

მოქანდაკეს მხოლოდ მცირე შესაძლებლობა მიეცა გამოემჟღავნებინა ნიჭი. ზოოპარკისა და ეაკის პარკის ეეფხეები ქართული ანიმალისტური ქანდაკების შესანიშნავი ნიმუშებია. შეიძლება ვიეარაუდოთ, რომ მას სხვა, ამ ტიპის ნამუშევრებიც ჰქონდა. მიეცა თუ არა მას საშუალება გადასახლებაში შეექმნა რაიმე ნაწარმოები – უცნობია. გადასახლებიდან დაბრუნებულ პატარიძეს, რომელიც სადგურიდან პირდაპირ ზაალიშვილებთან მიეიდა, თ.დვალის ცნობით ერთი ხელი დაგლეჯილი და ჭუჭყიანი სამოსის გარდა არაფერი ებადა. გამოსაცველელი სამოსი სოსო ზაალიშვილს თავისი გარდერობიდან უწილადებია.

აქამდე ნაკლებად ცნობილ თუ სრულიად უცნობ დამატებით მასალებს მოქანდაკის შემოქმედებითი ბიოგრაფიისთვის იძლევა რამდენიმე ახლად

---

[27] ზოგიერთ გამოცემაში, მაგ., თბილისის ქანდაკებებისადმი მიძღვნილ 2000 წ. დაბეჭდილ ბ.ქუთათელაძის წიგნში "პოესია ქვაში. თბილისის ქანდაკება", ორივე ქანდაკება ლომებად მოიხსენიება. განსხვავება შეინიშნება ნაწარმოების დათარიღებაშიც.

[28] მოქანდაკის მეგობრის, არქიტექტორ სოსო ზაალიშვილის მუყლის, თინათინ დვალის გამოუქვეყნებელი მოგონებები, 1995 წ.

[29] მხატვრის მეგობრის, არქიტექტორ მიხეილ იეანიშვილის ქალიშვილის, მოქანდაკე ჩარინა იეანიშვილის ე.პატარიძისადმი მიძღვნილი მცირე ესსე. ჟურნალი "ომეგა", 2000, №10, გვ.137.

[30] არქიტექტორების მიხეილ მელიასა და სერგო დეკანოზიშვილის ზეპირი მოგონებები.

[31] ასეთად დარჩა იგი ნელს ბავშვურ მეხსიერებაში.ნ.ზ.

გამოელენილი ფოტო[32]. მათი უმრავლესობა არსად გამოქვეყნებულა. საქალალდეში სულ 9 შაქ-თეთრი ფოტოა. ნანს, რომ ისინი სხვადასხვა დროსაა გადაღებული. ერთ მათგანზე აღბეჭდილია კინომსახიობი ლ. აბაშიძე მოქანდაკის ნამუშევართან – ვეფხვის სკულპტურასთან. მეორე ფოტო-სურათზე ფრთოსანი გრიფონებია გამოსახული,სურგზე კი რუსულად მიწერილია – „მარფინო".[33] შესაძლოა მარფინოს ეს ფოტო იქცა გარკვეულ იმპულსად მუსეუმის გრიფონების შესაქმნელად. მცირე ზომის ერთ ფოტოზე, რომელიღაც ძეგლის ესკიზია, მეორე, უფრო დიდი ზომის ფოტოზე,ბაეშვის ფიგურაა ასახული. დანარჩენ ხუთ,როგორც ნანს,ერთდროულად გადაღებულ ფოტოზე ასევე ნამუშევრების ესკიზებია. ფოტოები კარგადაა შენახული. საქალალდეში ზოგი ფოტოს ორი ეგზემპლარია. უმრავლესობას არ აწერია არც მათი გადაღების, არც ნამუშევრების შესრულების თარიღი. ა.წერეთლის წიგნში მოყვანილი, მხატვრის ავტობიოგრაფიაზე დაყრდნობით შექმნილი ნამუშევრების სია შესაძლებელს ხდის ფოტოსურათებზე გამოსახული ნამუშევრების ნაწილის დასათაურების და შესრულების საყარაულო თარიღების დადგენას.

შიშველი ბაეშვის ქვის ფიგურაზე (სურ. 7) დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ალ.წერეთლის წიგნში ნახსენები ქანდაკებაა და საყარაულოდ 1930-იან წლებისაა. ქვის დამუშავების ხასიათით ნამუშევარში გარკვეულწილად იგრძნობა მიქელანჯელოს გაელენა. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ქანდაკება, რომელზეც, როგორც ნანს,იმავე წიგნში ნახსენები ებრაული ყოფის მუსეუმისთვის შესრულებული მოხუცი ებრაელი მეწერილმანის ფიგურა უნდა იყოს. განსხვავებით ვანო პატარიძის სხვა ნამუშევრებისგან,იგი უფრო ყოფით ხასიათს ატარებს,უფრო დეტალიზებულია და სხვადასხვა ელემენტით გადატვირთული. შესაძლებელია, ამგვარი გადაწყვეტა თავად შეკვეთის ხასიათმა, ეთნოგრაფიული სიზუსტის მოთხოვნამ განაპირობა.

სხვა ფოტოებზე დაუმთავრებელი სკულპტურების ესკიზებია გადაღებული. ერთი მათგანი შიშველი მამაკაცის გამოსახულებაა, მის ფერხთით რომელიღაც ცხოველთან ერთად. მეორე – ქალის ნახევრად შიშველი ფიგურაა ოდნავ მოხრილი დრაპირებული სამოსით. შესაძლებელია, იგი იმ დროს პოპულარული თემების – "გაზაფხულის" ან "ოლიმეურნე ქალის" მორიგი გამოსახულების ესკიზია. ერთერთი კომპოზიცია წარმოგვიდგენს მამაკაცის ფიგურას ცალ ხელში პატარა ბაეშვითა და მეორეში ყურძნის მტევნით (სურ. 9). იგი რამდენადმე წააგავს ცნობილ კლასიკურ ბერძნულ ქანდაკებას "პერმესი დიონისესთან ერთად".

საქალალდეში აღმოჩნდა აგრეთვე მცირე ზომის ფოტო, რომელზეც მამაკაცის ფიგურაა აღბეჭდილი. ეინაიდან ხელში მას გრაგნილი ეჭირაეს, ეს, ალბათ, რომელიმე მწერლის ძეგლის ესკიზი იქნებოდა.

ზემოთჩამოთვლილის გარდა 1991-92 წლების თბილისის „ომამდე" აწ დამწეარ "მხატვრის სახლში" კარტოთეკაში ინახებოდა რამდენიმე ბარათი ვანო პატარიძის სურათების ეროვნულ გალერეაში დაცული, თაბაშირში ჩამოსხმული სხვა ნამუშევრების დასახელებით. საბწუხაროდ, საიმედოოდ, როდესაც ეს ნამუშევრები მოეიკითხე, ისინი გალერეას ქუთაისის ერთ-ერთი პარკისთვის გადაეცა, სადაც მათი კვალი აღარ ჩანს.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ვანო პატარიძემ არცთუ ბევრი ნამუშევარი შექმნა. მათგან ერთერთი, თაბაშირის ქანდაკება "პროპაგანდისტი" ნახსენებია 1953

---

[32] ფოტოები აღმოჩნდა მოქანდაკის მეგობრის,თსა პროფესორის,არქიტექტორ ს.ჩაალიშვილის (1905-1987) არქივში.ცნობები ზოგიერთ სხვა ქანდაკებაზე მოიპოვება ხელოვნებათმცოდნე ნიკ. ნუბინაშვილის არქივშიც.

[33] მარფინო - კარმიდამო მოსკოვის მახლობლად, XVIII-XIX საუკუნის რუსული ხუროთმოძღვრების ძეგლი.

წელს სურათების გალერეასა და სჯანაშიას მუსიკუმში გამართულ რესპუბლიკური გამოფენის კატალოგში[14] თქმა, როგორც ჩანს, გარემომცველთა კეთილი "რჩევების" შედეგად იყო შერჩეული. შემდგომ გამოფენებზე მისი ნამუშევრები ნაკლებად ჩანს, რადგან მთელ დროსა და ენერგიას ის ეკის პარკში დასადგმელ ეეფხვების ქანდაკებებს ანდომებდა.

'ხაალიშვილების ოჯახში დაცულია აერეთვე მცირე ზომის ნახატი პატარა გოგონას გამოსახულებით[15]. სანგინით შესრულებულ ნახატში ნათლად იგრძნობა სიყვარული ლეონარდო და ვინჩისადმი – ამას მოწმობს სფუმატოსმაგვარი რბილი დამუშავება.

ი. დვალისვე ცნობით, მათთან სხვა ფოტოები და დოკუმენტებიც ინახებოდა. სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე თავად 'მოქანდაკემ თითქმის ყველაფერი (გარდა ყვითელ საქაღალდეში დაცული რამდენიმე ფოტოსი) წაიღო, მისივე სიტყვებით, "რაღაც დიდი საქმისთვის". მათი შემდგომი ბედი უცნობია[16].

რეჟიმი არც სტუდენტებს ინდობდა. ცნობილი ოქრომჭედლის,მანანა მაგომედოვას ძმის,ალექსანდრე მაგომედოვის ოჯახში 2000 წელს აღმოვაჩინე უცნობი მოქანდაკის ორი საინტერესო ნამუშევარი. მათი ავტორი, მისი მეუღლის, თსუ რუსული ენის პედაგოგის ელეონორა (ნამი) კრემერის 1930-იან წლებში რეპრესირებული ძმა ოთარ კრემერი აღმოჩნდა.

იგი დაიბადა 1915 წელს თბილისში, იზრდებოდა ცნობილი პედაგოგის და ჟურნალისტის ლეო კრემერის ოჯახში. დედა, საბავშვო მწერლის ჩინო ნაკაშიძის და, ასევე ცნობილი პედაგოგი იყო. 1932 (?) წლიდან ოთარ კრემერი სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. თამარ კვესიტაშვილს,რომელიც იმავე პერიოდში სწავლობდა, ახლაც კარგად ახსოვს ქანდაკების II კურსის სტუდენტი ოთარ კრემერი. მისი სიტყვით იგი "მეტად ნიჭიერი, ლამაზი, ინტელიგენტური გარეგნობის, დახვეწილი მანერების, ახალგაზრდა ყმაწვილი იყო." [17]

ოჯახისთვის მისი გადასახლების ფაქტის გარდა, ძალზე ცოტა რამ იყო ცნობილი. მცირე ხანს, როგორც ჩანს, სხვადასხვა წყაროებით იგი იტყობინებოდა თავისი ადგილსამყოფელის შესახებ. "აქ, ჩრდილოეთში ძალიან ლამაზი ბუნებაა"ო, აწყნარებდა ოთარი თავისიანებს. შემდგომ ყოველგვარი კავშირი შეწყდა.

2005 წლის 'საფხულში, სამწუხაროდ, უკვე მისი დის გარდაცვალების შემდეგ, კრასნოიარსკის სა'ხოგადოება "მემორიალის" მარტიროლოგში მიეგენი ახალ ცნობებს ოთარ კრემერის შესახებ. შესაძლებელი გახდა მისი შემდგომი ტრაგიკული ბედის და'ზუსტება. მონაცემებში წერია:" **Оттар Львович Кремер. 1911 г. р. грузин, уроженец г.Тифлис. Спецпоселенец, Старатель в Северо-Енисейского р-не КК. 7.05.1938 года тройкой УНКД КК. Приговорен к расстрелу по делу Цибульского В.Б (19 ч).**"

ასეთივე ტრაგიკული იყო მისი ნამუშევრების ბედი. დროს სასწაულად გადარჩენილი ორიოდე ქანდაკებიდან ერთი – ავტოპორტრეტი, 2002 წლის თბილისის მიწისძვრის დროს, დაიმსხვრა[18]. თაბაშირის ეს ნამუშევარი, როგორც

---

[14] ქართველი მხატვრების გამოფენის კატალოგი, თბ., 1953.

[15] ეს ნერი პორტრეტია. მახსოვს მუშაობის პროცესიც და პოზირებისთვის ნაჩუქარი ლეონარდო და ვინჩის "მონა ლიზას" დიდი ფერადი რეპროდუქცია, რომელიც იმ დროს დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. გადმოცემით ვიცი, რომ ესკიზი მომავალი ქანდაკების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

[16] შესაძლოა, ეს მასალები ნაწილობრივ გამოიყენა აწერეთელმა თავის ნაშრომში.

[17] თამარ კვესიტაშვილი,გრაფიკოსი. დ. 1913. 1930-38 წლებში სწავლობდა თსა. ხელმძღვანელობდა სტუდენტთა პროფკავშირს. პირადად იცნობდა ამ დროის აკადემიაში მოსწავლე თითქმის ყველა სტუდენტს. მის სიებში, როგორც პროფკავშირის წევრი, ოთარ კრემერიცაა შეტანილი.

[18] იგი შემორჩა მხოლოდ ნემს არცთუ კარგი ხარისხის ფოტოს.

ჩანს, შესრულებული იყო აკადემიაში III კურსებზე სწავლისას. ავტოპორტრეტი საკმაოდ დიდი ზომის იყო. პროფილში გამოსახული იყო ხუჭუჭთმიანი ახალგაზრდა მხრებამდე. პორტრეტის დამუშავებაში,მთლიანად მის კომპოზიციურ გადაწყვეტაში ჩანდა საინტერესო ხედვა, ნიჭიერება.

მეორე,ოთარ კრემერის ამჟამად ერთადერთი გადარჩენილი ქანდაკება ჩაცუცქული მოხუცის გამოსახულებაა (სურ. 10). შეკრული კომპოზიცია, დრამატული განწყობა ასევე მეტყველებს ავტორის შესაძლებლობაზე, თუმცა ნამუშევარი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, გაუწაფავი მოქანდაკის ხელითაა შესრულებული[39].

რეპრესიების ტალღამ არც რამდენიმე მხატვარი ქალი დაინდო. საკონცენტრაციო, მათ შორის ალჟირის (Акмолинский Лагерь Жен Изменников Родины) მსგავს ბანაკებში მოხვდნენ მანდილოსნები – რაისა აბრამია-მიქაძე, ელისაბედ (ლიზიკო) კიწმარიშვილი,აგრეთვე,გერმანელი მხატვარი, მარია პერცფელდ-ჯაჯანიძე. მიზეზი მათი მეუღლეების "ხალხის მტრებად" გამოცხადება და სიკვდილით დასჯა იყო, თავად ქალები კი სპეციალურად შემუშავებული "პროგრამის" თანახმად დააშორეს შვილებს და მრავალი წლით საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაამწყვდიეს.

რაისა აბრამია-მიქაძე (1901-1995) (სურ. 6) აკადემიის ერთ-ერთი პირველი კურსდამთავრებული მოქანდაკე ქალი იყო. სამწუხაროდ, მისი ტრაგიკული ცხოვრების გამო,ახლობელთა ვიწრო წრის გარეთ თითქმის არაფერი იყო ცნობილი მისი, როგორც მოქანდაკის შემოქმედების შესახებ.[40] იგი დაიბადა ბათუმში 1903 წლის 23 თებერვალს; ბათუმის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე, იაკობ ნიკოლაძის კლასში. მისი ცხოვრება, შემოქმედებითი კარიერა საკმაო წარმატებით დაიწყო. ის მონაწილეობდა საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ მოწყობილ გამოფენებში. ცოლად იგი ცნობილ სამჭოთა ფუნქციონერს არჩილ მიქაძეს (შრომის კომისარი, ჟურნალ "მნათობის" და გაზეთ "ხახალხო განათლების" რედაქტორი და ა.შ) გაეყო. არჩილ და რაისა მიქაძეების ოჯახი იმდროინდელი კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. პქონდათ უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცული იყო ა.პუშკინის და სხვა რუსი მწერლების პირველი გამოცემები,წიგნები ს.ესენინის, ო.მანდელშტამისა და სხვა ცნობილ მწერალთა ავტოგრაფებით, მათ სახლში ხელოვნების ბევრი ნაწარმოებიც იყო დაცული[41].

1930-33 წლებში არჩილ მიქაძე მიელინებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში "ამტორგის" თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე.[42] მას თან ახლდა მეუღლე და უფროსი ქალიშვილი გუგა. ასეთი იშვიათი მოგზაურობა ინფორმაციისგან იზოლირებულ ქვეყანაში მცხოვრები მხატვრისთვის ფასდაუდებელი უნდა ყოფილიყო. ამ დროისთვის რაისა უკვე ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას მონაწილეობდა გამოფენებში. უკვე ნახსენები ნ.ერისთავი 1925 წლის გამოფენაზე

---

[39] რეპრესირებული იყო ოთარის მამაც. ლეო კრემერს გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ არ პქონდა უფლება თბილისში ცხოვრებისა. იგი მცხეთაში გარდაიცვალა.

[40] მის ახლობელთა შორის რ.აბრამია-მიქაძის ქალიშვილი გუგა მიქაძე და სიძე ირეოდიონ (ირაკლი) ოქროპირიძე მოქანდაკეები იყვნენ. სამხატვრო განათლება აქვთ მისი შვილიშვილებს ქეთევან, ნინო და გიორგი ოქროპირიძეებსაც.

[41] ქეთევან ოქროპირიძის ცნობით (ბებიას მოგონებებზე დაყრდნობით) კედლებზე ფიროსმანის 8 ნამუშევართან ერთად ლ.გუდიაშვილის "თეთრი დუქანი" და სხვა მხატვართა ნამუშევრებიც ეკიდა.

[42] ერთ პარიზულ ემიგრანტულ გამოცემაში გამოქვეყნებულია საინტერესო ცნობა მისი ამერიკაში მოღვაწეობის ერთი ეპიზოდის შესახებ: "Последние новости.Париж. 2 июня 1931 г. Арест советского чиновника в Нью Йорке.8 июня А.Микадзе, зам.председателя Амторга арестован вчера в Нью Йорке по жалобе инжинера Рокайсера, вчинившего Советскому Асбестотресту иск в 250 000 долларов…"

ვანო პატარიძესთან ერთად რაისასაც მოიხსენიებს. ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნების" 1935 წლის ერთერთ ნომერში ეინმე ა.დ.[43] საზოგადოებას ამცნობს მხატვართა სტალინისადმი მიძღვნილი გამოფენის "როგორ ყალიბდებოდა ბელადი" მომზადების შესახებ, ასახელებს მხატვრების მიერ არჩეულ თემატიკას. დ.კაკაბაძის სტალინის პორტრეტთან, ლ.გუდიაშვილის, მ.თოიძის, ე.ახველედიანის, ქ.მაღალაშვილის, ა.ქუთათელაძის და სხვა ცნობილ ავტორთა სტალინურ თემატიკაზე შესასრულებულ ნამუშევრებთან ერთად დასახელებულია რაისა მიქაძის ნამუშევარიც – ლადო კეცხოველის პორტრეტი. იქვე გამოქვეყნებულია ნაწარმოების ფოტორეპროდუქციაც (სურ. 3). სტატიაში, რომელშიც სტალინის სახელი სხვადასხვა კონტექსტში 30-ზე მეტჯერ არის ნახმარი, ნამოთელილი სურათების სათაურების პრეტენზიული საბჭოთა რიტორიკის ფონზე რაისას ნამუშევარი თავისი გადაწყვეტით, შესრულების დონით საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. ჯ.მიქაძე-კალატოზიშვილის ცნობით მას პქონდა შესრულებული აგრეთვე მსახიობების ვერიკო ანჯაფარიძის და თამარ ჭავჭავაძის ბიუსტები (ყველა ქანდაკება უკვალოდ გაქრა).

ამერიკაში რაისას ფოტოხელოვნების დაუფლება განუზრახავს. თუმცა ამის შესაძლებლობა არ მიეცა. 1937 წელს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რაისა აბრამიას მეუღლე დააპატიმრეს და დახვრიტეს, ხოლო იგი, როგორც "ხალხის" მტრის მეუღლე 8 წლით შორეულ ირდილოეთში, განსაკუთრებით მძიმე პირობებით გამორჩეულ ტემნიკოვსკის ქალთა ბანაკში, პოტმაში გადაასახლეს. მორდოვეთის ბანაკებში გაშენებულ ბარაკებში ასობით პატიმარი იტანჯებოდა. მათთან მან გაიარა ჯოჯოხეთის ყველა წრე. დაბრუნების შემდეგ რ.მიქაძემ მთელი გულისხმევა თავისი დაობლებული შვილების აღზრდისაკენ მიმართა. მას აღარ უცდია დაბრუნებოდა ქანდაკებას: "ქანდაკებაში მუშაობა მის დიდ ოცნებად დარჩა."[44] მრავალი წელი რაისა მიქაძე ძირითადად კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებაში რედაქტორად მუშაობდა, პარალელურად ქართველი მწერლების ნაწარმოებებს რუსულად თარგმნიდა. რეაბილიტაცია მან 1956 წელს მიიღო, გარდაიცვალა 1995 წლის 30 სექტემბერს, 93 წლის ასაკში.

რაისა აბრამია-მიქაძის არცერთი ნაწარმოები არ შემორჩა. ისინი 1930-იან წლებშიც უკვალოდ გაქრა. იმ პერიოდის გადარჩენილი ერთადერთი ნამუშევარი – შემოქმედების საწყის პერიოდში შესრულებული პატარა ქანდაკება, "ელდეზე მიჯაჭვული ამირანი", კარგა ხანს ცნობილი რეჟისორის მ.ჭიაურელის ოჯახში ინახებოდა. შემდგომ მან ნამუშევარი ავტორის უფროს ქალიშვილს გუგა მიქაძეს გადასცა.[45] სამწუხაროდ, ისიც დაიმსხვრა. ნიჭიერი მოქანდაკე ქალის შემოქმედებაზე წარმოდგენას მხოლოდ ჟურნალში გამოქვეყნებული ზემონახსენები ლადო კეცხოველის ბიუსტის რეპროდუქცია იძლევა.

მეუღლეების გამო გადასახლებულ იქნენ სხვა მხატვარი ქალებიც. მათ შორის ნიშანდობლივია ლიზიკო კიწმარიშვილის (კიწმარაშვილის) ბედი (სურ. 5). იგი 1937 წელს დააპატიმრეს. მისი მეუღლე, პარტიული მუშაკი ეგეგენი გაერიში 1937 წლის 15 სექტემბერს დახვრიტეს, თავად კი, როგორც ЧСИР (член семьи изменника родины) 8 წლით გადაასახლეს. შორეულ ბანაკში, 1938 წელს, იძულებით სამუშაოებზე შეხვდნენ ერთმანეთს თბილისელი თვითნასწავლი მხატვარი ლიზიკო

---

[43] ა.დ., როგორ ყალიბდებოდა ბელადი. საბჭოთა ხელოვნება, 1935, №5. სავარაუდოდ ავტორი ა. დულუნაია უნდა იყოს.

[44] ჯ.მიქაძე-კალატოზიშვილის მიერ 2005 წელს ჩვენი თხოვნით დაწერილი რ.მიქაძის მცირე ბიოგრაფიიდან.

[45] ქანდაკების ბედი მისი ავტორის ბედივით ტრაგიკული აღმოჩნდა. ამჟამად იგი აღარ არსებობს.

კიწმარიშვილი და მოსკოველი პედაგოგი ნინა ესესვიატსკაია, რომლის მეუღლე წარმოშობით კორველი ჟურნალისტი კიმ სერ სანი იაპონიის სახარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით დახვრიტეს, თავად კი გადაასახლეს. ორივე ქალს სახლში მცირეწლოვანი ბავშვები პყოლიათ, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა, უფრო ტრაგიკულს ხდიდა მათ მდგომარეობას. შვილებს მონატრებული დედები სხვადასხვა წყაროებით ახერხებდნენ მათთვის გაეგზავნათ მოკითხვა და რამდენიმე სტრიქონი. მათთან ურთიერთობის სურვილს ისინი იკლავდნენ სახლიდან გამოგზავნილი წერილების, მათში აღწერილი ამბების მიხედვით შექმნილი ხელნაკეთი წიგნებით.

შემოქმედებითი მუშაობის მცდელობა ბანაკების ბინადართა სულიერი გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება იყო. მრავალი რეპრესირებული პროფესიონალი თუ მოყვარული მხატვარი ცდილობდა ბანაკების უმძიმეს პირობებში შემოქმედებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ყოფის გალამაზებას, იშვიათად, მცირე პრივილეგიების მოპოვებას. ზოგ შემთხვევაში ბანაკების ადმინისტრაცია ლმობიერად ეკიდებოდა თვითშემოქმედების ამგვარ ფორმებს, ხელს უწყობდა და ახალისებდა მათ ჩართვას КВЧ-ს (Культурновоспитательная часть) საქმიანობაში, ამაყობდა "საკუთარი", "ყმა" მსახიობებით, მხატვრებით, პოეტებით. ზოგ შემთხვევაში კი იგივე ქმედება დამატებითი სასჯელის მიზეზი ხდებოდა, თუმცა ვერაფითარი სასჯელი ვერ აკავებდა შემოქმედებით მისწრაფებებს.

ნინა ესესვიატსკაია ქალალდის ნაგლეჯებზე წერდა მხიარულ, გულუბრყვილო იუმორით სავსე საბავშვო ლექსებს, ხოლო ლიზიკო კიწმარიშვილი, წვალებით მოპოვებული მასალებით, ქმნიდა ასევითვე განწყობის რამდენადმე პრიმიტიული ხასიათის ფერადოვან ნახატებს. ილუსტრაციები განკუთვნილი არ იყო გამოსაქვეყნებლად. მათი ადრესატები ავტორების შვილები იყვნენ. ნახატების, მთლიანად წიგნების შეფასება პროფესიული მხატვრობის, წიგნის გაფორმების კანონების კრიტერიუმებით შეუძლებელია. ისინი საბანაკო ხელოვნების საინტერესო ნიმუშებია. მათი მთავარი ფასეულობა მდგომარეობს იმ ემოციურ მუხტში, რომლითაც იქმნებოდა ილუსტრაციები. საბანაკო შემოქმედების თემა ცალკე და სერიოზული განხილვის საგანია. უმძიმეს პირობებში, გადასახლებაში მყოფი ადამიანების მიერ ბანაკებში შექმნილ შემოქმედებით ნიმუშებში მეფაენდება სულის სიძლიერე და ხელოვნების შემოქმედების დიდი ძალა. თუმცა ქართველ მხატვართა ამ სახის ნამუშევრების შესწავლა მომავლის საქმეა.

მრავალი წლის შემდეგ, მოსკოვში ნინას შვილებმა, ცნობილმა რუსმა ბარდმა, მომღერალმა იული კიმმა და ქალიშვილმა ალინამ, ბანაკში შექმნილი ნახატების და ლექსების ოთხი პატარა კრებულის საფუძველზე გამოსცეს ფერადი წიგნი "От далекой мамы"[46]

გადასახლებიდან დაბრუნებულმა ლიზიკომ თავიდან დაიწყო ცხოვრება. გააგრძელა ხატვა, ქარგვა; მონაწილეობდა თვითნასწავლი მხატვრების გამოფენებში. თბილისში, ხალხური შემოქმედებისა და დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში დაცულია მისი ნამუშევრები – ძირითადად ქარგულობის ნიმუშები.

გერმანიასთან ხანმოკლე "მეგობრობის" შემდეგ ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი გარდუვალი იყო. გერმანიის მოქალაქეობის მქონე გერმანელები სამშობლოში დაბრუნდნენ. მათ შორის რამდენიმე ხელოვანიც იყო– მოქანდაკე ეილსის ქალიშვილი ლენა ეილსი (არქიტექტორ სოსო ზაალიშვილის პირველი მეუღლე); მხატვარ აკოფჯან ღარიბჯანიანის მეუღლე, აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ეიგელმინა (მინა) მაიერი,(ცოლქმარი მოქანდაკის ნ. წერეთლის ერთ-ერთი საუკეთესო სკულპტურული პორტრეტების

[46] Нина Всесвятская, От далекой мамы . Илл. Лизико Кицмаришвили, М., 2001.

მოდელები იყვნენ). ვინც ვერ წავიდა, მოგვიანებით ძალზე ძნელ ვითარებაში აღმოჩნდა. 1941 წელს სსრკ თავდაცვის კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება "საქართველოს სსრ,აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელების გასახლების შესახებ"[47]

1941 წელს 8 ოქტომბერს დაიწყო გერმანელების დეპორტაცია. სულ გადაასახლეს 19 186 ადამიანი.[48] 1941-42 წლებში გერმანელები შრომით არმიაშიც გაიწვიეს. მათ შორის იყვნენ მხატვრები, მათი ნათესავებიც. დეპორტირებულთა ტანჯვა არც ომის შემდეგ დასრულებულა. 1948 წლის 26 ნოემბრის დადგენილებით მათ ძველ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების უფლება არ აქვთ.

გადასახლებაში ციხეებში აღმოჩნდნენ მტრად გამოცხადებული ადამიანები, რომელთა დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ გერმანელები იყვნენ. მათი ბედი გაიზიარეს მეუღლეებმაც – ამ კატეგორიის "დამნაშავეთა" შორის იყო გრაფიკოსი, ცნობილი პედაგოგი, მხატვარი ნინო მიხეილის ასული ზაალიშვილი (სურ. 4). იგი ყაზახეთში მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად აღმოჩნდა გერმანელების შუა აზიაში დეპორტაციის შესახებ 1941 წელს მიღებული კანონის ამოქმედების შემდეგ.

ნინო ზაალიშვილი დაიბადა 1903 წელს პეტერბურგში, ცნობილი პედაგოგის, წმ. სტანისლავისა და ანას ორდენების კავალერის მიხეილ ზაალიშვილის და პეტერბურგელი მანდილოსნის, ბესტუჟევის უმაღლესი კურსებისა და პეტერბურგის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულის ელენა პანოვას ოჯახში. რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებულმა მიხეილმა რამდენიმე ათეული წელი მოანდომა პედაგოგიურ მოღვაწეობას,ქართულ ენაზე დაწერილი მრავალი სახელმძღვანელოს შედგენას.[49]

1925 წელს ნინო ზაალიშვილი სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა. სწავლობდა ცნობილ პედაგოგებთან, ი.შარლემანთან, ე.ლანსერეთან ა.ნათიშვილთან და ი.მალაევთან. აგრეთვე ახალგაზრდა პედაგოგებთან დ.კაკაბაძესთან, ლ.გუდიაშვილთან. 1930 წელს, აკადემიის დამთავრების შემდეგ ქმნის რამდენიმე მონუმენტურ ნამუშევარს. მუშაობს როგორც პლასტიკური ანატომიის პედაგოგი.

მისი მეუღლე, გერმანელი ფლორენტინ ვაისი, შთამომავლობით მექანიკოსთა ცნობილი ოჯახის წარმომადგენელი იყო,რომლის წინაპარი თბილისში სიმენსების ფირმასთან ერთად ჩამოვიდა და მონაწილეობდა ინდო-ევროპული სატელეგრაფო ხაზის "ლონდონი-თბილისი-კალკუტა" შექმნაში. ფ.ვაისი თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის საინსტრუმენტო განყოფილებაში მუშაობდა. ომის დაწყებისთანავე იგი მოხსნეს სამსახურიდან,შემდეგ ისევ აღადგინეს,ისევ მოხსნეს. 1941 წელს მთელი ოჯახი: ფ.ვაისი,მისი ვაჟი პირველი ქორწინებიდან,ნინო ზაალიშვილი ორი პატარა ქალიშვილითურთ ეტაპით,პირუტყვის ვაგონებით ყაზახეთში გადაასახლეს.

ოჯახი უმძიმეს პირობებში, ფაქტიურად ტრიალ მინდორში აღმოჩნდა. არ იყო საცხოვრებელი პირობები, საკვები, სუფთა წყალი. სამედიცინო დახმარება. თითო ყლუპი წყლის აღულებას უდიდესი ძალისხმევა სჭირდებოდა. აგროვებდნენ ბალახის დიდ ბულულებს და წვავდნენ, რათა შეძლებოდათ დასალევად ვარგისი წყლის აღულება. ნინო ზაალიშვილის ყაზახეთში შექმნილი ნანახატის 1956 წლით დათარიღებული ასლი ამგვარი უსარმაზარი ბულულების ზიდვას ასახავს (სურ. 8). ყაზახეთში გატარებულმა წლებმა მძიმე დაღი დაასვა ნინო ზაალიშვილის

---

[47] საქართველოს სსრ არქივი.ფ.№31,საქმე №80, ტ.2, გვ.86.

[48] С.В.Отсен.Времена не выбирают, Тб., 1998, გვ.20.

[49] ირმა ზაალიშვილი-ვაისი, ნინო ზაალიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მხატვრის ქალიშვილის მიერ შექმნილი დედ-მამისადმი მიძღვნილი ხელნაწერი წიგნი, რუს-ენაზე, 2005.

ჯანმრთელობას. მისი სიკედილის მიზეზიც იქ მიღებული ტრავმები გახდა. გარკვეული ხნის შემდეგ შუა აზიაში გადასახლებული ვაისების ოჯახი სამშობლოში დააბრუნეს. ფ.ვაისს,როგორც უნიკალურ სპეციალისტს,რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ობსერვატორიის ფუნქციონირება შუამდგომლობა გაუწიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ.მუსხელიშვილმა, აკადემიკოსმა ე.ხარაძემ და სხვებმა.

სამშობლოში დაბრუნებული ნინო ზაალიშვილი მუშაობს თბილისის სამხატვრო აკადემიაში ხატვის კათედრაზე. ხატავს პორტრეტებს, კომპოზიციებს. მონაწილეობს გამოფენებში. სერგო ქობულაძე 1965 წელს დაწერილ დახასიათებაში ამბობს: "..შექმნილი ცხოვრებისეული გარემოებების გამო ნინო ზაალიშვილს შემოქმედებით ცხოვრებაში გარკვეული წყვეტილობა იყო, რომელიც ახლა გარკვეულწილად აღდგა." იგი დიდად აფასებდა მის სამეცნიერო ნაშრომს "ემოციის გამოვლენა მიმიკასა და პოზაში". ამ ნაშრომის მომზადებისას მხატვარს გამოადგა გადასახლებაში შესრულებული იქაური ყოფის ამსახველი ნახატები, პორტრეტები, რომლებიც, სამწუხაროდ, არ შემორჩენილა.

ნინო ზაალიშვილის და მისი მეუღლის სასწაულებრივი დახსნა გადასახლებიდან, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას თავდადება რენე შმერლინგის დეპორტაციისგან გადასარჩენად[20] და სხვა ამგვარი,სისტემის ძალადობისგან კონკრეტული ადამიანების ხსნის გამონაკლისი შემთხვევები კიდევ უფრო უსვამენ ხაზს ამ მოვლენების ტრაგიზმს.

მარია პერცფელდ-ჯაჯანიძის (სურ. 2) ისტორია კიდევ უფრო რთული იყო – იგი არა მარტო "ხალხის მტრის" მეუღლე აღმოჩნდა, არამედ თავად იყო მტერი – გერმანელი ბერლინიდან.

მარია პერცფელდი 1896 წელს დაიბადა პეტერბურგში. I მსოფლიო ომის დროს მისი მშობლები დაბრუნდნენ გერმანიაში. სამხატვრო განათლებაც მარიამ ბერლინში მიიღო. შეძლო შეექმნა რამდენიმე საინტერესო ნამუშევარი, მათ შორის სპორტული მედლები. ბერლინშივე გაიცნო მან განათლების მისაღებად ჩასული მიხეილ ჯაჯანიძე. სამშობლოში დაბრუნებულ მეუღლეს მარიაც ჩამოყვა. 1937 წელს მისი მეუღლე დააპატიმრეს და იმავე წლის 15 სექტემბერს დახვრიტეს. მიხეილ გერმანეს ძე ჯაჯანიძე 1924 წელს დახვრეტილი სასულიერო პირის ოჯახიდან იყო. მომდევნო წლებში, ხედავდა რა მათში პოტენციურ მტრებს, ЧК განსაკუთრებულ ყურადღებას თავის მსხვერპლთა შთამომაველებს აქცევდა. 1937 წელს დაპატიმრებულთა და დახვრეტილთა შორის ბევრი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში რეპრესირებულთა მემკვიდრე აღმოჩნდა. მპერცფელდის მეუღლეც ამ ხაზის გატარებას შეეწირა.

შორეულ გადასახლებაში,პოტმაზე მარიამ ჯაჯანიძეს,თუ ასე შეიძლება ითქვას, გაუმართლა. უმძიმეს პირობებში,ქარგვის ნიჭის გამო მას მცირეოდენი "შეღავათი" მიეცა. როგორც მრავალი ქალი, ისიც ზონაში არსებულ სამკერვალო და ქარგვის სახელოსნოებში მუშაობდა. პატიმარი ქალების ხელით იქმნებოდა ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშები, რომლებიც ზოგჯერ საექსპორტოდაც იგზავნებოდა. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მარია პერცფელდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მუშაობდა როგორც პედაგოგი.

მისი მხატვრული შემოქმედება მხოლოდ 1990-იან წლებში გახდა ცნობილი. საქართველოში მცხოვრებ გერმანელთა საზოგადოება "აინიგუნგ"-ის მიერ მოწყობილ გამოფენებზე მისი რამდენიმე, სხვადასხვა სახის დეკორატიული ნამუშევარი იქნა

[20] რუსუდან ჯანაშია, რენე შმერლინგის წერილები. რენე და ოსკარ შმერლინგებისადმი მიღენილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2000, გვ.92.

წარდგენილი. კატალოგების და "Kaukasische Post"-ში გამოქვეყნებული საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის თანამშრომლის იზო ქურდაძის წერილის წყალობით[31] საზოგადოება დაინტერესდა უსამართლოდ დავიწყებული შემოქმედით. მის მიერ გერმანიაში შექმნილი სპორტული მედლები გამოქვეყნდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიერ ათენში გამართული ოლიმპიადისადმი მიძღვნილ კატალოგში.[32]

ტრაგიკული იყო მოქანდაკე იულიუს გენინგის (1883-1942) ბედიც[33]. მან კიოლნის ხელოვნების აკადემია დაამთავრა. 1905 წელს თბილისში დაბრუნებული, იგი როგორც ოფიცერი მონაწილეობდა ომში თურქეთის წინააღმდეგ. ოქტომბრის გადატრიალებამდე მოქანდაკედ მუშაობდა ჩეხი ა.ნოვაკის დეკორატიული ქანდაკების სახელოსნოში. ის მომდევნო წლებშიც აგრძელებდა ამ სფეროში მუშაობას – გააფორმა ფოთის თეატრის,თბილისში საბაგიროს,სხვა არაერთი საზოგადოებრივი და საკურორტო შენობის ფასადი.

დეპორტაციის შემდეგ გენინგების ოჯახი: მეუღლე,ქალიშვილი მარგარიტა და მისი ორი ძმა დაასახლეს უდაბურ ადგილას,ე.წ. მშიერ სტეპში. გადასახლებიდან ერთ თვეში იულიუს გენინგი მალარიამ იმსხვერპლა.[34] მისმა ქალიშვილმა მარგარიტამ მძიმე გზა განელო, რათა კელავ შეძლებოდა ეცხოვრა თბილისში. ახლა ის კაკტუსების ცნობილი კოლექციონერია,მრავალი წელია ხატავს კიდეეაც.

გასარკვევია აკადემიის ერთერთი პირველი კურსდამთავრებულის,მიხეილ უნგერ-შტერნბერგის ბედი (ცნობილი გრაფიკოსის კლარა კვეესის კოლექციაში დაცულ საკუთარ ფოტოზე გაკეთებულ სახუმარო წარწერაში ის თავს ბარონ მიხეილ გარალდის ძე უნგერ-ნშტერნბერგს უწოდებს). აკადემიის დიპლომების გაცემის დავთრის მიხედვით, მისი დიპლომი მინდობილობით მხოლოდ 1956 წელს აიღეს, რაც სავარაუდოს ხდის მის დეპორტაციას. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

რეპრესირებულთა შორის ბავშვებიც იყვნენ – მომავალი მხატვრები თუ არქიტექტორები. სხვა ქართულ-გერმანულ ოჯახებთან გადასახლებულ იქნა ყაზახეთში მხატვარი თინა პეინეც. მშობლებთან ერთად 6 თვის თინაც იყო დეპორტირებული. იგი ყაზახეთში თითქმის ექვსი წლის ასაკამდე იმყოფებოდა. დეპორტირებულთა შორის იყვნენ ჩინო ზაალიშვილის მცირეწლოვანი ქალიშვილები ლია და ირმაც,იულიუს პენინგის შვილებიც.

რეპრესირებულთა რიცხვში აღმოჩნდა 1935 წელს საზღვარგარეთიდან თხუთმეტწლიანი ემიგრაციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ვასილ შუხაევი (1883-1973). პირველ ხანებში იგი აქტიურად მოღვაწეობდა ლენინგრადში, 1936 წელს დიდი წარმატებით გამართა პერსონალური გამოფენა, მოგზაურობდა, აფორმებდა თეატრალურ დადგმებს, მუშაობდა როგორც პედაგოგი, ქმნიდა მონუმენტური მოხატულობის ესკიზებს.

1937 წელს იგი დააპატიმრეს. მეუღლესთან, ვერა შუხაევასთან ერთად მან თითქმის ათი წელი გაატარა შორეულ აღმოსავლეთში,მაგადანში. იგორ მიამლინის ცნობით "მაგადანში ისინი მოხვდნენ ყალბი ბრალდებებით და ცილისწამებლური დასმენების გამო."[35] ორი წლის შემდეგ შუხაევს ნება დართეს შეესრულებინა ესკიზები მაგადანის მუსიკალურ-დრამატული თეატრის სპექტაკლებისათვის. ამ

---

[31] I.Kurdadze, Die Geschihte einer künstlerischen Seele.Der Lebensweg von Maria Herzfeld-Dschadschanidzse. Kaukasische Post, 2004, N45.

[32] სპორტი და ოლიმპიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში.შემდგ. პ.ნაცვლიშვილი და ნ.ზაალიშვილი, თბ., 2003.

[33] К.Моретти, 50 лет на стройках Грузии, Тб., 1971.

[34] დ.შპრინგპორნი, გერმანელები საქართველოში. მარგარიტა გენინგის მოგონებები, თბ., 2001, გვ160.

[35] И.Мамлин, Василий Шухаев, Л., 1971 გვ. 102.

თეატრის თითქმის ყველა თანამშრომელი: დამდგმელებიც, მხატვრებიც, მსახიობებიც, აგრეთვე მაყურებელთა უმრავლესობა გადასახლებული ან ყოფილი პატიმარი იყო. ამგვარი თეატრების ხასიათი, მათი არსებობის პირობები, შემოქმედებითი სიტუაცია აღწერილია სანდრო ახმეტელის მეუღლის, მსახიობ თამარ წულუკიძის წიგნში "მხოლოდ ერთი ცხოვრება". იგი თავად იყო გულაგში არსებული ამ ტიპის, ოლონდ ოჯიხური თეატრის თანამშრომელი.

რამდენიმე წლის მანძილზე ე.შუხაევმა შექმნა დეკორაციები არაერთი, სრულიად სხვადასხვა ხასიათის დადგმისათვის, გააფორმა კონცერტები, სხვა სადღესასწაულო ღონისძიებები. პარიზის და პეტერბურგის სცენების შემდეგ იგი ცდილობდა არაადამიანურ პირობებში შეექმნა მაღალპროფესიული ნამუშევრები. ერთი მხრივ, ეს სამუშაო რამდენადმე აუმჯობესებდა მის მდგომარეობას, მეორე მხრივ, სულიერი გადარჩენის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. მაგადანში ყოფნისას იგი ძირითად ყურადღებას თეატრალურ მხატვრობას უთმობდა. შემორჩენილია ამ პერიოდში შესრულებული დაზგური ფერწერის მხოლოდ რამდენიმე ნიმუში. მათგან ყველაზე საინტერესო მეუღლის 1947 წელს შესრულებული პორტრეტია.

1947 წლიდან გადასახლებიდან დაბრუნებული მხატვარი, რომელსაც რუსეთის დიდ ქალაქებში ცხოვრების უფლება არ აქონდა, ე.ლანსერეს რჩევით და ქართველი კოლეგების თხოვნით საქართველოში დასახლდა. ის მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, მონაწილეობდა ქვეყნის სამხატვრო ცხოვრებაში. საქართველოში მან ცხოვრების ბოლომდე დაყო.

1947 წელს უცხოელებთან კონტაქტის მიზეზით ეორკუტაში გადასახლებულ იქნა მხატვარი კირილე ზდანევიჩი (1892-1967), ფიროსმანის ერთერთი აღმომჩენი, 1920-30-იანი წლების თბილისის სამხატვრო ცხოვრების მნიშვნელოვანი მონაწილე. 1930-იანი წლების ბოლოდან იგი პერიოდულად ხან მოსკოვში, ხან თბილისში ცხოვრობდა. დაპატიმრების საბაბი გახდა ურთიერთობა ფიროსმანის შემოქმედებით დაინტერესებულ ინგლისელ ჟურნალისტთან. მხატვარი მრავალი წლით მოწყვეტეს შემოქმედებას. ე.შუხაევის მსგავსად, ისიც ნართული იყო თეატრალური დადგმების გაფორმებაში, ასრულებდა სხვა სახის სამხატვრო სამუშაოებს[56]. 1950-იან წლებში ემიგრატებთან კავშირის ბრალდებით ოჯახებთან ერთად გადასახლებაში შუა აზიაში თუ სხვაგან მრავალი ქართველი აღმოჩნდა. მათ შორის იყო ხელოვნებათმცოდნე გიორგი მასხარაშვილიც. მისი მამა, ცნობილი მრეწველი ოციან წლებში დახვრიტეს. დედას, ბაბო დადიანს საფრანგეთში არაერთი ნათესავი პყავდა და ეს საკმარისი აღმოჩნდა მთელი ოჯახის ასაყრელად.

მხატვარი ციალა კანდელაკი, რომელიც 1951 წელს დედასთან ერთად გადაასახლეს როგორც ტყვედყოფილის ოჯახის წევრი, იგონებს ეაგონებზე გაკრულ ცინიკურ ლოზუნგებს წარწერით, თითქოს მათში იმყოფებოდნენ ყამირი მიწების ასათვისებლად ნებაყოფლობით გამგზავრებული ადამიანები.[57] რამდენიმე წელი გადასახლებულები უმძიმეს პირობებში ცდილობდნენ მოეწყოთ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, გამოენახათ საკვების მოპოვების გზები. ციალა კანდელაკი მუშაობდა პედაგოგად, ხატავდა კიდევაც თანამემამულებს, ადგილობრივ მცხოვრებლებს. ეს ნახატები ამჟამად სხვადასხვა კოლექციაშია მიმოფანტული. დაბრუნება სამშობლოში მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

საბჭოთა რეჟიმის რეპრესიების გამოძახილი იყო 1956 წლის 9 მარტის შემდგომ პროტესტანტი ახალგაზრდების დაპატიმრება (მათ შორის იყო ხელოვნებათმცოდნე გიეი ბარამიძე).

---

[56] მხატვრის შვილის მირელ ზდანევიჩ-ქუთათელაძის მოგონება.

[57] ე.კიკნაძე, წამებული რაინდები, თბ., 1992.

1950-იან წლებში შუა აზიაში შემოქმედებითი შეკვეთის შესრულების დროს ცრუ ბრალდებით დააპატიმრეს და მრავალი წელი პატიმრობაში ამყოფეს ალექსანდრე ლოხოშვილი (1905-1987). 1933 წელს საქართველოს მხატვართა I ყრილობაზე გამგეობის წევრად არჩეული მოქანდაკე. მის შემოქმედებაში ბევრი სხვადასხვა ხასიათის ნამუშევარი იყო: სტალინის მრავალრიცხოვანი გამოსახულება, გამოჩენილ პირთა პორტრეტები, ცნობილი მოჭიდავის ესებუას ფიგურა. ახლობელთა მოგონებებით, იგი საკმაოდ კარგად შეეგუა ბანაკის პირობებს, ხატავდა და აქანდაკებდა უფროსებს, მცველებს, მათი ოჯახის წევრებს. ოჯახის წევრების მოგონებებში აღნიშნულია, რომ მას გარკვეულწილად შეეძლო ბანაკის უფროსობის გაუნათლებლობის წყალობით პატარ-პატარა პრივილეგიების მოპოვება, სამუშაოს განგებ გაგრძელება. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ის მძიმე დეპრესიაში იყო, არ სიამოვნებდა კოლეგებთან ურთიერთობა, გადასახლდა სოხუმში და იქ გარდაიცვალა.

რეპრესირებულთა ცალკე კატეგორიას შეადგენენ ომის მონაწილეტყვედყოფილი მხატვრები. ომის დროს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოხვედრილი ახალგაზრდების უმრავლესობა ტყვედ ნაბარების ან გერმანელებთან თანამშრომლობის ბრალდებით, ომის დამთავრების შემდეგ, 1945-46 წლებში სამშობლოში, საქართველოში დაბრუნების მაგივრად, ჯერ საფილტრაციო პუნქტებში, მერე კი მრავალი წლით სხვადასხვა საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდა – მათ შორის იყვნენ ლევან მეტრეველი, ილია ტატიშვილი, გაიოზ მეხაშიშვილი, ირაკლი არდიშვილი, ბორის ქურხული და სხვები. წლების შემდეგ ისინი რეაბილიტირებულ იქნენ და მრავალი წელი მონაწილეობდნენ საქართველოს სამხატვრო ცხოვრებაში, ომის მონაწილეთა გამოფენებში.

მოსალოდნელი რეპრესიების საშიშროების გამო ომის ზოგიერთი მონაწილე სამშობლოში აღარ დაბრუნდა და სხვადასხვა ქვეყნებში დარჩა. ინგლისში აღმოჩნდა დავით (დოდიკ) მეტრეველი, რომელიც ქანდაკებას ვალენტინ თოფურიძესთან ეუფლებოდა და შემდეგ სახელი გაითქვა უინსტონ ჩერჩილის პოპულარული ბიუსტის შექმნით. მრავალი წელი გერმანიაში ცხოვრობდა ირაკლი კონტრიძე (1990-იან წლების შემდეგ იგი დაბრუნდა საქართველოში და აქვე გარდაიცვალა). ჯერ გერმანიაში, ახლა კი აშშ ცხოვრობს 1937 წელს სანდრო ახმეტელთან ერთად დახვრეტილი მსახიობის, პლატონ კორიშელის ვაჟი – ვახტანგ (ბოცო) კორიშელი. განათლებით მუსიკოსი, ის მოქანდაკის პროფესიას დაეუფლა ამერიკაში I მსოფლიო ომის შემდგომ წასულ მწერალთან და მოქანდაკესთან გიორგი პაპაშვილთან. გასული საუკუნის 90-იან წლებში ბოცო ორჯერ იყო საქართველოში მეუღლესთან, მოქანდაკე მარგარეტ კორიშელთან ერთად. მათ თბილისში ორი ქანდაკება დადგეს.

საბოლოოდ, სხვადასხვა ცრუ ბრალდებით სიკვდილით დასჯილ, გადასახლებულ, დაპატიმრებულ მხატვართა რაოდენობა ორ ათეულს აღემატება (მათგან შვიდი – დახვრეტილია). თუ ამ რაოდენობას მივამატებთ დანაკლისს, რაც ომმა მიაყენა ქართულ მხატვრობას (ომში გაწვეულ 100-ზე მეტი მხატვარიდან შინ 40-ზე მეტი აღარ დაბრუნდა. დაღუპულთა შორის იყვნენ დიდი პოტენციის ახალგაზრდები, რომლებსაც პედაგოგები დიდი იმედებს ამყარებდნენ) საეჭვალო შედეგს მივიღებთ – ომმა და რეპრესიებმა შეიწირა შემოქმედთა საკმაოდ დიდი პროცენტი. ეს სამწუხარო მარტოოლოგი შესაძლოა სრული არ იყოს.

ორიოდ გამონაკლისის გარდა, რეპრესირებული მხატვრები შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში, აქტიური საზოგადო მოღვაწეობის პიკზე იმყოფებიდნენ. დიმიტრი შევარდნაძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, პეტრე ოცხელის ფიზიკური განადგურება აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო ქართული მხატვრობისთვის. საერთო სურათზე ღვაწლმოსილი მხატვრების და პედაგოგების პერინეესკის, რიხარდ კარლ ზომერის, სხვათა განადგურებამაც იმოქმედა.

მრავალი წლით შემოქმედებით ცხოვრებას მოწყდნენ ახალგაზრდებიც. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ზოგმა მხატვარმა ვეღარ შეძლო შემოქმედებითი მოღვაწეობის უწინდებურად გაგრძელება. ბევრს სამუდამოდ გაყვა შიში, რამაც ხელი შეუშალა შემდგომ სრულფასოვან მუშაობაში.

უშუალოდ რეპრესირებულთა გარდა, დიდია საბჭოთა რეპრესიების შედეგად სულიერად ტრავმირებულ მხატვართა რიცხვი, ქართული მხატვრობის განვითარებისთვის მიყენებული მორალური და თეისობრივი თვალსაზრისით მიყენებული ზიანი.

მრავალი წელი წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ რეპრესირებულთა ოჯახის წევრები. 1937 წელს რეპრესირებულ იქნა და დახვრიტეს ცნობილი გრაფიკოსის კლარა კვეესის ოჯახის რამდენიმე წევრი,რენე შმერლინგის ძმა ელგარი დაპატიმრებიდან ორ წელიწადში გარდაიცვალა. თავად რენეც ომის დაწყების შემდეგ ყოველ წუთს დაპატიმრებასა და დეპორტაციას ელოდა. ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

რეპრესიული რეჟიმი მათზეც ახდენდა ზემოქმედებას, ვინც ფორმალურად „გარეთ" იყო დარჩენილი. როგორც წერს ე.კიკნაძე, ყოველთვის იყო საფრთხე "წმინდა შემოქმედებითი საკითხების პოლიტიკურად გადაქცევისა: "ქედის მოხრა დასავლეთის წინაშე, აპოლიტიკურობა, არასაკმარისი აქტივობა ან რომელიმე არაპროგრესული "დამპალი დასავლეთის" მხატვრული მიმართულებისადმი სიმპატიის გამოთქმა ან შემოქმედებით პრაქტიკაში დანერგვა."[34]

განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა ეს ტენდენცია თბილისის სამხატვრო აკადემიის მასწავლებლებისადმი დამოკიდებულებაში. კომკავშირული სულისკვეთების აქტივისტები დაბეზღებით აშინებდნენ, აშანტაჟებდნენ პროფესურას.

რეპრესირებულად შეიძლება ჩაითვალონ არა მხოლოდ ისინი, ვინც დახვრიტეს და გადაასახლეს. მორალური რეპრესიები განიცადა თითქმის ყველა მხატვარმა ვინც სრულად არ დაემორჩილა რეჟიმსა და სცადა საკუთარი "მეს," შემოქმედებითი თავისუფლების შენარჩუნება. მათი ადგილი არ მოიხახა სამხატვრო აკადემიაში საიდანაც სხვადასხვა დროს დაითხოვეს ლ. გუდიაშვილი, ა.ბაებეკ-მელიქოვი ვ. შერპილოვი. მათი შემოქმედება არაერთხელ „დაამუშავეს", რაც შეიძლებოდა ძალზე ცუდად დამთავრებულიყო. რეპრესიების, სამსახურიდან დათხოვნის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო სტუდენტებისთვის სხვადასხვა უცხოური მიმართულებების (იმპრესიონიზმი, პოსტიმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი) შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც კი.

საბჭოთა რეჟიმის ნეგატიური ზემოქმედების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია დიდი მხატვრის დავით კაკაბაძის ტრაგედია,რომელიც არსად დააყენეს და სწორედ ამ მორალურმა ტერორმა დააჩქარა მისი სიკვდილი.

ჩვენ მხოლოდ ზოგადად მოვხაზეთ 1930-იან-1950-იან წლებში საბჭოთა რეპრესიული მანქანის მიერ დაზარალებული მხატვრების ბედი. მუშაობამ დაგვანახა შესასწავლი მასალის საკმაოდ დიდი მოცულობა და საქართველოსა და ყოფ. სსრკ ტერიტორიაზე კელეეის ომაეალში გაგრძელების აუცილებლობა.

---

[34] ე. კიკნაძე, დასახ. ნაშრ.

Resume

Nino Zaalishvili

New Evidences on the Life and Creative Activity of the Repressed Georgian Artists

Dozens of artists were repressed over the history of the Soviet regime in Georgia. In 1937-1938, executed were outstanding Georgia artists: Dimirti Shevardnadze, Vakhtang Kotetishvili, Peter Otskheli, Henrik Hrinevski, Alexander Duduchava, Richard Karl Zommer, young sculptor Otar Kremer.

Within the framework of the project – "Georgian Art in the Epoch of the Totalitarianism" – implemented by the Georgian Art Development Centre "Art Arsis", as well as during the preparation of the symbolic exhibition – "Murdered Soul. Repressed Artists" – in the Omega Gallery, in February 2004, new names were revealed, verified were places and dates of the artists' execution, as well as collected was information on the activity of those left alive.

Apart from those repressed for political reasons, artists were also included in any other categories of the guilty: wives of the "enemies of the nation" (Raisa Mikadze, Maria Herzfeld, Liziko Kitsmarishvili), people German origin or those married to the ethnic Germans (Nino Zaalishvili-Weis, Julius Hening) were deported to Kazakhstan. The tragic of the situation is even greater, keeping in mind efforts made by acad. S. Janashia and N. Muskhelishvili to save Oskar Shmerling's daughter, art historian Rene Shmerling and the Weis Family. Only part of the artists (e.g. sculptor V. Pataridze) managed to return to the creative activity after their return from deprtation.

Artists, who were captives of the World War II and returned to their Motherland after the War was over, were immediately deported to the camps in the North of the USSR.

Artists and art historians were among those deported to the Central Asia in 1950s, as relatives of emigrants or of the captives of the World War II (Ts. Kandelaki, G. Maskharashvili).

No lesser tragic were results of the moral terror and ideological pressure on the artists (L. Gudiashvili, A. Bazhbeuk-Melikov, V. Sherpilov, especially, D. Kakabadze).

სურ. 1. რიხარდ კარლ ზომერი

სურ. 2. მარია ჰერცფელდი

სურ. 3. რაისა აბრამია-მიქაძე.
ლადო კეცხოველის ბიუსტი

სურ. 4. ნინო მიხეილის ასული
ზაალიშვილი

სურ. 5. ელისაბედ (ლიზიკო) კიწმარიშვილი

სურ. 6. რაისა მიქაძე-აბრამია

სურ. 7. ვანო პატარიძე. შიშველი ბავშვი

სურ. 8. ნინო ზაალიშვილი.
სათბობის ზიდვა. ჩანახატი. 1941-56

სურ. 9. ვანო პატარიძე.
ფიგურა ბავშვით

სურ. 10. ოთარ კრემერი.
ჩაცუცქული მოხუცი